პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

შაბათი, 28 ივნისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 535

ქ. მ. ღ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ივლისიდან ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“ ეღირება №--3 კაპ., თვიურად 70 კაპ.

წითელ-არმიელთათვის ნაწილში ან სოფელში მიწოდებით 50 კაპ.

გაზეთ „წითელ-არმიელის“ კანტორა.

## წითელ არმიელმა უნდა შეისწავლოს ქიმიური თავდაცვის საქმე.

ჩვენს გაზეთში დღეს იბეჭდება კავკასიის არმიის უფროსის ამხ. პუგაჩოვის წერილი, თუ როგორ უნდა იმუშაოს ქიმიური თავდაცვის მეგობრთა საზოგადოებამ წითელ ჯარში.

ეს წერილი მეტის მეტად საყურადღებოა და თითეული კომანდირი, პოლიტმომუშავე თუ წითელ არმიელი ვალდებულია ღრმად ჩაუკვირდეს, მის მნიშვნელობას და მთელი თავისი შეგნებით და ენერგიით ხელი შეუწყოს ქიმიურ თავდაცვის საქმის სათანადოთ დაყენებას წითელ ჯარში. ქიმიური თავდაცვის საქმის ორგანიზაცია—ჩვენს დამკვრელ მოვალეობ ამოცანას შეადგენს.

იმპერიალისტური ქვეყნები დიდის ენერგიით ანვითარებენ თავის საომარ საშუალებებს. მიუხედავათ ბურჟუაზიულ პოლიტიკანების და სოციალ-გამყიდველების რწმუნებისა, რომ 1914 წლის იმპერიალისტური ომი უკანასკნელი სისხლის ღვრა იყო, ეს ტკნარი სიცრუეა და მშრომელთა მოტყუილებაა.

ბურჟუაზია კვლავ ემზადება ომისათვის.

კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო მრეწველობა კვლავ დაუღალავათ მუშაობს კაცობრიობის გასაჟლეტი ახალ სისტემისა და სახის საომარი იარაღების და საშუალების დასამზადებლად. უკანასკნელ წლების გამოგონებანი, როგორც ინგლისელ მატიუზის „სასიკვდილო სხივები“, სხვა და სხვა გვარი მომწამვლავი აირებით გატენილი ყუმბარები და ბომბები ნათლად ამტკიცებენ, რომ მომავალი ხოცვა-ჟლეტა, რომლითაც ემუქრება დახავსებული ბურჟუაზია კაცობრიობას ეს გაცილებით უფრო საშინელი იქნება თავისი განმანადგურებელი შედეგებით, ვიდრე გასული 1914 წლის ომი იყო.

ჩვენ ვიცით, რომ პირველი შეტევითი ნაბიჯი, რომელსაც გადადგამს ბურჟუაზია—მიმართული იქნება ჩვენს წინააღმდეგ.

ამიტომ ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ. თუ ბურჟუაზია ემზადება ომისათვის, ანვითარებს თავის სამხედრო ტეხნიკას, ადიდებს თავის სამხედრო ძლიერებას, ჩვენც უნდა გავაძლიეროთ ჩვენი საომარი საშუალებანი.

თუ ბურჟუაზია შემოგვიტევს მხრჩოლავი და მოწამლული გაზებით, ჩვენც ასეთივე გაზებით უნდა უპასუხოთ.

„კბილი კბილისა წილ—გაზი გაზისათვის“ აი რა დაგვავალა ამხ. ტროცკიმ.

ჩვენ გვყავს ძლიერი წითელი არმია, ჩვენ ჩაუყარეთ მტკიცე საძირკველი საჰაერო ფლოტს. ეხლა ჯერია ქიმიურ თავდაცვაზე. ამ საქმის ჯეროვანად მოსაგვარებლად საჭიროა ფართოდ ჩაბმა მშრომელთა მასების.

წითელ ჯარის მოვალეობას შეადგენს მტკიცედ შეისწავლოს ქიმიური თავდაცვის საქმე და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს „დობროქიმის“ მუშაობას.

ხსენებულ საზოგადოების წევრად უნდა გახდეს არა მარტო კომანდირი და პოლიტმომუშავე, არამედ ყველა წითელ-არმიელი. ყველა მათგანმა კარგად უნდა იცოდეს ქიმიური თავდაცვის საქმე.

ამხ. პუგაჩოვი თავის წერილში ხაზს უსვამს წითელ-არმიელების ჩაბმას ამ საქმეში. წითელ-არმიელმა უნდა იცოდეს არა მარტო ის თუ როგორ უნდა იხმაროს ბრძოლის დროს გაზი და აგრეთვე დაიცვას მისგან თავი, არამედ მის მოვალეობას შეადგენს გახდეს „დობროქიმის“ იდეიის გამავრცელებელი სოფლად. ამიტომ საჭიროა თითეული წითელ-არმიელი შევიდეს ამ საზოგადოებაში. შევიდეს არა მექანიკურად, არამედ შეგნებულად და იმუშაოს მასში აქტიურად.

ყველამ უნდა შევისწავლოთ ქიმიური საქმე. ყველა უნდა გავხდეთ დობროქიმის აქტიურ წევრად. დავამტკიცოთ — ეს საქმით.

## ინგლის-საბჭოთა კონფერენციის პლენარული სხდომა.

25 ივნისს დანიშნული იყო ინგლის-საბჭოთა კონფერენციის პლენარული სხდომა.

## ინგლისი და საბჭოთა კავშირი.

### საბჭოთა დაკვეთა ინგლისის დამზადებულ საქონელზე.

საზღვაო ვაჭრობის დეპარტამენტის მდივანმა ლენიმ თემთა პალატაში განაცხადა, რომ ზოგიერთი წინადადება საბჭოთა დაკვეთების შესახებ დამზადილ საქონელზე გადაეცა სავაჭრო შეღავათების განსაკუთრებულ სათათბიროს.

## ჩვენი საგარეო ვაჭრობა.

მოსკოვის კუსტარულ-საექსპორტო კანტორამ გახსნა ლონდონში განყოფილება და აარსებს წარმომადგენლობას ავსტრიაში, საფრანგეთში, პოლონეთში და გერმანიაში. ამ დღეებში მოსკოვში ჩამოვა ამერიკის მსხვილი ფირმის წარმომადგენელი, რომელსაც დაუკვეთენ დიდძალ საქონელს.

## კანადა და სსრკ.

### კანადა--საბჭოთა სავაჭრო შეთანხმება.

ინგლის—საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება ვრცელდება კანადაზედაც 23 ივნისიდან.

## საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის წინ.

### პოლონეთი შუამავალის როლში.

ვიტოსის ჯგუფის ორგანო „გაზეტა ვარშავსკა“ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ საფრანგეთის მიერ სწერს: „გაუგებარია პოლონეთის ზოგიერთი წრეების სასოწარკვეთილება სსრკ-ს მოსალოდნელ ცნობის გამო საფრანგეთის მიერ. სასოწარკვეთილების ნაცვლად, პოლონეთი უნდა სცდილობდეს გახდეს პატიოსანი შუამავალი სსრკ-სა და საფრანგეთის შორის.

## მშენებელ მუშათა საერთაშორისო კონფერენცია.

### ბრძოლა ყვითელს და წითლებს შორის.

სტოკჰოლმში გაიხსნა მშენებელ მუშათა პროფკავშირების საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობს სსრ-კ დელეგატი ბოგდანოვი.

ჰამბურგის ინტერნაციონალის მდივანმა კეპლერმა პირველ რიგში წამოაყენა ბრძოლის გეგმა კომუნისტების წინააღმდეგ და წინააღმდეგ მათი მიღებისა ჰამბურგის ინტერნაციონალში. ბოგდანოვმა აღნიშნა ჰამბურგის ინტერნაციონალის შეცდომა. მოსალოდნელია სერიოზული ბრძოლა.

## საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა კანადის მიერ.

მუშათა პარტიის წევრმა ვუდსვორტმა საკითხი შეიტანა კანადის პარლამენტში იმის შესახებ, რომ იცნობს თუ არა კანადამ რსფსრ-ს გარდა უსსრ. პრემიერ კინგმა უპასუხა, რომ კანადა სცნობს სრულიად საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს.

## კომინტერნის მეხუთე კონგრესი

### გერმანიის დელეგაციის დეკლარაცია.

გერმანიის დელეგაციის სახელით ამხ. ფროიმუტმა წაიკითხა დეკლარაცია, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბრანდლერისა და რადეკის მიმართულებამ გააძლიერა კომინტერნის ტენდენციები, ვინაიდან გერმანიის კომპარტიაში ეს მიმართულება უკვე მოისპო საბოლოოდ.

გერმანიის კომპარტია მოსპობს ძველი ცეკას ნაანდერძევ ნაკლს, მაგრამ მას იმედი აქვს კონგრესის, რომ უკანასკნელი აღმოფხვრის მარჯვენით მიდრეკილებას ისე, რომ დამცველებმა ვერ გამოვიდნენ კომინტერნის ვერც ერთ სხდომაზე.



**ამხ. კატაიამა.**
კომინტერნის მეხუთე კონგრესის წევრი. იაპონიის კომპარტიის დელეგატი.

ხსნას მსოფლიო რევოლიუციის ნელი ტემპით.

მაკ-მანუსის აზრით უმთავრეს საკითხს ინგლისში შეადგენს მასიურ პროლეტარული პარტიის შექმნა. მსოფლიო კონგრესის მიზანია პრაქტიკული წესების გამომუშავება ყოველ ქვეყნებისათვის ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შემოსაღებათ.



**ამხ. მარსელ კაშენი.**
საფრანგეთის კომპარტიის ბელადი და კომინტერნის მეხუთე კონგრესის წევრი.

### კამათის გაგრძელება.

ამხ. რანსენმა (ნორვეგ. წარმომად.) განაცხადა რომ შვეციის პარტიამ მრავალი მარჯვენა შეცდომა დაუშვა. ტრანგელი მხარს უჭერდა ლიანს, რომელიც ატარებდა ბურჟუაზიულ პოლიტიკას.

ტრანგელი შეცდომით იყო კომინტერნში. დღეს ის კავშირში შევიდა სოციალ დემოკრატიასა და ბურჟუაზიასთან.

ჩეხიის კომპარტიაშიც ისეთი პასიურობაა, როგორც ეს თავის დროს იყო ნორვეგიის პარტიაში. შვეციის პარტიაში არის ისეთი მიმართულება, რომელიც იბრძვის პარტიის ბოლშევიკურობის წინააღმდეგ. ეს მიმართულება უნდა აღმოიფხვრას.

მაკმანუსი, (ინგლ. წარმომ.) გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის და ინგლისის კომპარტიებში არსებულ მარჯვენით მიდრეკილებას

### გროზნოს მუშათა მისალმება.

ფროიმუტის გამოსვლის შემდეგ დარბაზში გამოვიდა დელეგაცია, რომელიც მიესალმა კონგრესს 12000 მუშის სახელით. კონგრესმა ალფრთოვანებით მიიღო დელეგაცია.

შემდეგ კონგრესმა ერთხმად მიიღო საპროტესტო მოწოდება თეთრი ტერორის წინააღმდეგ ესპანეთში.

## ერიო-მაკდონალდის თათბირის გარშემო.

პრემიერების თათბირის შესახებ „ვესტმინსტერ გაზეტ“-ი სწერს გარკვეულ ცნობების უქონლობამ გამოიწვია ხმები, თითქოს მაკდონალდმა შეეთანხმა ერიოს იმოქმედოს საფრანგეთთან შეთანხმებით იმ შემთხვევაში თუ გერმანიასთან მოხდება კონფლიქტი.

პარლამენტის და მუშათა პარტიის წევრი—დჟაკ მილსნეს აზრით შეიძლებოდა მაკდონალდს ჩაედინა ასეთი შეცდომა.

# საბჭოთა ფედერაციაში

### როგორ მიიღეს იტალიაში გემი „ილიჩი".

დაბრუნდა იტალიიდან გემი „ილიჩი". გემი დიდის პატივით მიიღეს ნავთსადგურებში. გემის მოსამსახურეები სარგებლობდენ ქალაქში სეირნობის უფლებით დაუბრკოლებლივ. მუშები მოდიოდენ გემის დასათვალიერებლად, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ამხ. ლენინით და მისი პორტრეტებით.

### სავინკოველთა საქმის გარშემო.

უზენაეს სასამართლომ 9 ბრალდებულს, მათ რიცხვში 3 ყოფილ ოფიცერს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი. დანარჩენებს—ციხე სხვა და სხვა ვადით.

### ლადოგის ტბის გადიდება.

ლადოგის ტბამ მოიმატა ერთ ნახევარ საჟენით სიმაღლე. ვოლხოვის მაზრაში წალეკილია 60 სოფელზე მეტი. წყალდიდობით დაზარალდა 1.000 ოჯახამდი, მცხოვრებლები გადასახლდენ ლენინგრადის მაზრაში.

### წყალდიდობა გდოვის მაზრაში

გდოვის მაზრაში წყალ დიდობის გამო წყლით დაფარულია სამი თემი.

### სრულიად უკრაინის ბოგანო სოფლელთა ყრილობა.

გაიხსნა სრულიად უკრაინის ბოგანო სოფლელთა მე-4-ე ყრილობა.

ყრილობას დაესწრო 876 კაცი წარმომადგენლები უკრაინის 600 ათასიანი ღარიბი მოსახლეობისა. ყრილობას დაესწრენ ხარკოვის ქარხნების და პროფ-ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყრილობას ესწრებიან აგრეთვე უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომლებიც გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ყრილობის მსვლელობას.

### წვიმა.

ორენბურგის და აკტიუბინსკის გუბერნიებში მოვიდა წვიმა, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა ნათესების მდგომარეობა. აღმოსავლეთ ყირგიზეთში პურის მოსავალი საშუალოზე მეტია.

ახალგაზრდა პიონერთა მოსკოვის ბიურომ დაადგინა მიიღოს აქტიური მონაწილეობა კოოპერაციის საერთაშორისო დღესასწაულში. ეს დღე გამოცხადებულია ბავშვთა დღესასწაულად. სოფლად გაიგზავნება სპეციალური ბავშთა რაზმები გლეხთა ბავშვებთან კავშირის დასაჭერად.

გადაწყვეტილია დღესასწაულზე დაურიგდეს ბავშვებს საჩუქარი.

# რადიო ყოველ მხრიდან

## მთავრობის საგანგებო სრულუფლებიანობის გაგრძელება.

გერმანიის მთავრობა ივნისის ბოლოს მოითხოვს, რათა გაუგრძელდეს მას საგანგებო სრულუფლებიანობა.

## ბავარიის ახალი კაბინეტი

ბავარიის ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ბავარიის სახალხო პარტიის ლიდერს მელდს.

## უმუშევართა რიცხვი ინგლისში.

ბრიტანეთის შრომის სამინისტრო გვიუწყება, რომ 17 ივნისისთვის ინგლისის უმუშევართა რიცხვი უდრის 1.052.500 კაცს.

## უნგრეთის საერთაშორისო სესხი.

ინგლისის ბანკმა მისცა უნგრეთს საერთაშორისო სესხის ანგარიშში 4 მილ. გირვანქა სტერლინგი.

# ამერიკა.

## დემოკრატიული პარტიის კონფერენცია.

გაიხსნა დემოკრატიული პარტიის კონფერენცია. სენატორ გარისონმა გაილაშქრა რესპუბლიკანურ პარტიის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებდა, რომ ის იმყოფება კაპიტალისტების ჯგუფის კონტროლს ქვეშე, ორატორი მოითხოვდა ფერმერთა დახმარებას.

## კომუნისტების დემონსტრაცია ტულონში

26 ივნისს ტულონში მოხდა ანტიფაშისტური დემონსტრაციები. პოლიციამ დააპატიმრა 9 კომუნისტი. დაიჭრა ორი პოლიციელი.

## უთანხმოება მოკა[...] შირეებში.

### ლონდონის კონფერენციის გ[...] დადება.

ინგლისს, საფრანგეთსა და ბე[...]გიას შორის უთანხმოების გამო კ[...]ნფერენციის პროგრამის გარშე[...] კონფერენცია გადადებულ იქნება[...]

### ხმების უარყოფა.

ლონდონის პრესა უარყოფ[...] რანგეთ-ბელგიის პრესის ცნობას[...] შესახებ, რომ თითქოს მაკდონა[...]დმა აღუთქვა ერიოს საომარი დ[...] მარება.

### მილერანი—ვექილი.

გაზეთებიდან მიღებულ ცნობ[...] მილერანი არჩეულ იქნა ვექილ[...] საბჭოს წევრად.

## გენტის საკოოპერა[...] იო გამოფენა.

ბრიუსელიდან მიღებულ ცნობ[...] მოკავშირეთა პირველი ნაბიჯი [...]ნება შეუმჩნეველ ჰყოს სამხედ[...] ოკუპაცია. სრული ოკუპაცია მ[...]დება მაშინ, როდესაც გერმან[...] საობლიგაციო ნიშნები მოითხო[...] რეალურ ღირებულებას ბაზარზე.

### სამხედრო კონტროლი.

ოთხშაბათს მოხდა რეიხსტა[...] უცხოელთა კომისიის სხდომა, [...]დაც გარჩეულ იქნა უკანასკნე[...] საფრანგეთ—ინგლისის ნოტა სა[...] დრო კონტროლის შესახებ.

გერმანიის პასუხი ნოტაზე გ[...]ვნილ იქნება პარასკევს ან შაბა[...]

# ქიმიურ თავდაცვის მეგობართა საზოგადოების მუშაობა წითელ ჯარში.*)

(დასასრული)

### ჯარმა უნდა შეისწავლოს აირის ომი.

ქიმიური საქმე შედის ჩვენს სწავლების პროგრამაში. ერთ ერთი მომწამვლელ ნივთიერებათა წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალების შესწავლას შეუდგა წითელი ჯარი, მაგრამ ჯერ ჯერობით ისე, როგორც საჭიროა, ვერ აქვს შეთვისებული. განსაკუთრებით ჩვენ ერთში ვართ ცოდვილნი, რომ აირის საწინააღმდეგო საშუალებათა შესწავლის საქმე მიგვაჩნია წითელი არმიელის, უფროსის და პოლიტიკურ მომუშავე-მებრძოლის კუთვნილად და არ ვცდილობთ იმაზე, რომ მათი მოხმარა შევასწავლოდ უმწყობრო ნაწილის წითელ არმიელს, ზურგს უკან მდგომ უფროსს და შტაბში პოლიტმომუშავეს, რადგან აირის შეტევის საფრთხე ზურგს უკან არა ნაკლებია და შეიძლება დიდიც იყოს, ვინემ ბრძოლის ხაზზე.

### შექმენით ქიმიის მეგობართა წრეები ჯარში.

ჯარში მომუშავეთა შორის ქიმიურ საქმის ცოდნის გაღრმავება უნდა იკისროს ქიმიურ დავდაცვითი მეგობართა საზოგადოებამ.

ყოველი წითელი არმიელი, უფროსი და პოლიტ-მომუშავე უნდა იყოს არსებითად მეგობარი ქიმიურ თავდაცვითი საქმისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზოგადოების წესდებას გათვალისწინებული ექნება შესაძლებლობა წევრების კოლექტიურად ჩაწერისა, როცა დობროქიმიის—წევრათ შესვლის უფლება ექნება არა მარტო თითეულს ახანაგს, არამედ მთელს შემადგენლობას, განყოფილებებს, ოცეულს, მათ შეუძლიათ მოაგროვონ ერთმანეთს შორის ფული და შეიძინონ ერთი საწევრო ბილეთი და მიიღონ მონაწილეობა საერთო საქმეში თავის წარმომადგენელის გაგზავნით დობროქიმიაში.

მე განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ საზოგადოების წევრებათ უნდა იყვნენ არა მარტო უფშემადგენლობა, პოლიტ მომუშავენი, არამედ ყველა წითელ არმიელნი, იმდენად, რამდენად ისინი დაინტერესებულნი იქნებიან ქიმიურ თავდაცვითი მტკიცე ორგანიზაციის შექმნის საქმეში; სამსახურის გათავების შემდეგ კი ისინი უნდა გახდენ პირველი დამცველნი ამ საქმის ქარხნებში, ფაბრიკებში ქალაქებში და სოფლებში.

დობროქიმიის ცალკე წევრები ჯარის ნაწილებში ადგენენ უჯრედებს. სასურველია, რომ ამ წრეების ხელმძღვანელობა აიღონ თავიანთ თავზე ქიმიურ თავდაცვითი საქმის გამგეებმა, სადაც კი ასეთები იქნებიან.



აირით (გაზით) მოწამლულთა გვამები.

სადაც კი ასეთი გამგეები არ არიან, იქ მუდამ მოიძებნებიან ისეთი უფროსები და პოლიტ მომუშავენი და შეიძლება წითელი არმიელებიც, რომლებიც გაცნობილნი არიან ქიმიის ძირითად დებულებებს, მათ უნდა შეისწავლონ სამხედრო ქიმიური საქმე და უნდა შექმნან დობრო ქიმიის მეგობართა წრეები და მათზე ხელმძღვანელობაც თვით უნდა იკისრონ.

შექმნილ უჯრედთა შორის უნდა არსებობდეს კავშირი და უნდა გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი ცდები და მიღწევები.

ჯარის ნაწილების უჯრედების შეერთება დივიზიებში, ბრიგადებში, გარნიზონში მაინც და მაინც არ საჭიროებს, რადგან ნაწილების წრეების მუშაობა არ არის მოწყვეტილი დობრო ქიმიის საერთოდ ქალაქების ორგანოებს, პირიქით ისინი ამ უკანასკნელთან უნდა იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებული. ამ რიგად ნაწილების უჯრედები ქარხნების და ფაბრიკების უჯრედებთან ერთად უნდა შედიოდენ დობრო ქიმიის სამაზრო განყოფილების შემადგენლობაში.

### როგორ უნდა ვაწარმოოთ მუშაობა.

რაში უნდა გამოიხატებოდეს დობროქიმიის მუშაობა წითელ ჯარში?

უწინარეს ყოვლისა, ყოველ წევრმა (ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად) უნდა შეისწავლოს სამხედრო-ქიმიური საქმე. ამისათვის შეგვიძლია ურჩიოთ პოპულიარული სახელმძღვანელოების და ჟურნალების გამოწერა. აქ შეიძლება მოგვიხდეს ხელახლად კოლექტივისათვის მიმართვა, რადგან შეიძლება სახელმძღვანელოების და ჟურნალების გამოწერა ვერ შესძლონ განყოფილებებმა, მაშინ რამოდენიმე კოლექტივი ერთდებიან და იწერენ საჭირო სახელმძღვანელოებს ოცეულისთვის, ასეულისთვის (ლენინის კუთხე).

უფრო აქტიურ წევრებმა უფროსების და პოლიტ-მომუშავეთა შორის პერიოდულად უნდა აკეთონ ყველასათვის მისაწდომი მოხსენებები მომწამვლელი ნივთიერებათა ხმარების საშუალებებზე და მათ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, წრეებას მუშაობის და სამხედრო-ქიმიურ საქმის განვითარების შესახებ.

მოხსენებებისათვის უნდა ისარგებლონ პრესაში მოთავსებულ მასალებით; ქიმიურ საქმის გამგეები უნდა დაეხმარონ მათ თავიანთ რჩევით და დარიგებებით. ამასთან ერთად სასურველია ხდებოდეს მომწამვლელი ნივთიერებათა ცდები ცხოველებზე.

დობროქიმიის მუშაობა არ უნდა ისაზღვრებოდეს მარტო ნაწილების ფარგლებში მუშაობით, საჭიროა ერთის მხრივ უჯრედები გაეცნონ ქიმიურ საქმეს, როგორც საწარმოვო დარგს და მეორეს მხრივ კავშირის გაბმა ფაბრიკასთან, ქარხნებთან და სოფელთან და მუშათა დაჯგლეხთა შორის ცნობების გავრცე[...] მომწამვლელ ნივთიერებათა საფ[...]ხის და მის წინააღმდეგ ბრძო[...] შესახებ (უნდა შევასწავლოთ, [...] უჩვენოთ ცდები და სხვ.) უნდა [...]ადოთ რომ ამ მუშაობამ არ [...] დააფრთხოს ხალხი, პირიქით [...] დავარწმუნოთ ისინი, რომ ამ მუ[...]ბის ძირითად ამოცანებს შეად[...]

1. გააცნოთ სამხედრო-ქიმ[...] საქმეს და 2. უჩვენოდ მათ ცდ[...] საშუალებით რომ მხუთარ აირ[...]თან ბრძოლა შესაძლებელია ამ[...] მის შესწავლით და მაგარი დი[...]პლინის დაცვით. ამ მხრივ წით[...] ჯარი უნდა გახდეს სამხედრო[...]მიურ საქმის ცოდნის შემ[...] მოსახლეობათა შორის და მისი [...]შაობა არ უნდა დაიკარგოს [...]ყოფოდ.

### ვიყოთ ენერგიული და უდრ[...]

ამოცანა მეტად სერიოზულია [...] რაც ადრე შეუდგებით მის განხ[...]ციელებას, რაც უფრო მეტ ენ[...]გიით მოვკიდებთ ამ საქმეს ხე[...] რაც უფრო უდრეკათ ვისწ[...]ფით ძირითად მიზნისაკენ, მით [...]რო ადრე მივიღებთ საგრძნობ[...] დეგებს.

მოუწოდებ ამხ. ამხ. უფრო[...] და პოლიტ-მომუშავეებს აუხ[...] ამხ. ამხ. წითელ არმიელებს დ[...]როქიმიის შექმნის მიზანი და [...] ამოცანები და წითელი ჯარის [...]ვალეობა საბჭოთა კავშირის ქი[...] თავდაცვითი საქმეში, თვით ამხ. წითელ არმიელები დიდის ყურ[...]ღებით მოეპყრან სამხედრო-ქიმ[...] საქმის შესწავლას და ჩაეწერონ [...]რებად ქიმიურ თავდაცვითი მე[...]ბართა საზოგადოებაში (დობრ[...]მია).

პუგაჩოვ[...]

„კრასნი ვოინი" № 142.

---

*) იხ. „წ.ა." № 534.




## კულტ-შეფობა სოფლებზე.

მაშ შეფი ვართ, შეფი ჰა! ეუბნება ერთი საკავშირო ასეულის წითელი მოლაშქრე მეორეს.

მა რა გეგონა? ჩვენ თუ გვშეფობენ ჩვენ არ შეგვიძლია სხვას გაუხდეთ შეფად?

ჰაი, ჰაი, რომ შეგვიძლია, იმდენი მაინც ვიცით, რომ ჩვენს თანამოძმე გლეხებს ცოტა რამე შევძინოთ—სხვა რომ არ იყოს რა, ქალაქში ნამყოფი მაინც ვართ!

— ე ქალაქი დიდი ბედანა არ გონია? შვილოსა ქალაქში ტომრებიც ოხრად არიან—ხუმრობს მესამე.

— ტომრები კი არიან მარა, შიგა ფქვილია და არა ტვინი—იყო პასუხი.

— ეს კი მართალია მედა ჩემმა ღმერთმა,

— მე კი ვიშეფე და თქვენი არა ვიცი რა.—აი გუშინ წინ ერთი გლეხი შემხვდა. დავჯექით ჩრდილოში; რაც კაი ვიცოდი სულ გადავეცი. იგიც სულ განაბული მისმენდა.

— ეგ ყველა კაი მაგრამ ჩვენ რა უნდა უთხრათ სოფლელებს. ჩვენ ხომ ქალაქში ჯერ არც კი ვყოფილვართ და იმდენიც არა ვიცით რა.

— თუ არა ვიცით—სხვაზე ველარ დავეხმარებით? რამდენი სამუშაო აქვთ? ავდგეთ და ვინც არა ვიცით რა სამუშაოზე დავეხმაროთ.—ეგ ხომ ეგრეც იქნება მაგრამ... მა რალა გინდა... ეე—სოსოანთ ჯმუხამ რო არც ეგ იცის... გაიხუმრა ერთმა.

— არ ვიცი არა... ისეთი დაუქაქანოთ რომა სულ ბდღვირი ავადინო მიწასა. ერთი ამომიდექ გვერდში და გაიგებ მერე.

ჰოდე, ისეთი ყანურიც დაუგუგუნოთ რომა შენი მოწონებული ამბობს მეორე.

ასე ბაასობდენ არმიელები ერთი ხის ქვეშ.

ჩვენმა ასეულმა სამ სოფელზე აიღო კულტურული შეფობა. ეს გარემოება ერთობ ახარებს წითელ არმიელებს.

ადგილობრივი გლეხობაც მეტად ნასიამოვნებია ჩვენი აქ მოსვლით. მათ ახსოვთ ჩვენთან გატარებული წარსული წელი და განსაკუთრებული პატივისცემით გვეპყრობიან ეხლა. წითელ არმიელებიც საკმარისად გრძნობენ ამას და ცდილობენ რაც შეიძლება მეტად ასიამოვნონ გლეხებს.

**სვირელი.**

## კედლის გაზეთის ერთი წლის იუბილე

კვირას ივნისის 22, ლეგიონის თეატრში კინო-სურათების გაშვების წინ, შესდგა საზეიმო სხდომა გაზ. „წითელ მებრძოლის" წლის თავის აღსანიშნავად. სხდომას დაესწრენ ჩვენი ლეგიონის წითელ არმიელების და უკ და პოლიტ შემადგენლობის გარდა გარეშე პირებიც. თეატრის დარბაზის კედლებზე გამოფენილი იყო გაზ. „წითელი მებრძოლის" ძველი ნომრები და წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო ნომერი, წითელ არმიელებზე არაჩვეულებრივი კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გამოფენამ და ყურადღებით ათვალიერებდენ გაზეთის ყველა ნომრებს.

სხდომა გახსნა სამკომ ამხ. ნ. ბარამიძემ და პირველი სიტყვა სთქვა სარედაქციო კოლეგიის წევრმა ამხ. ი. ეფრემიძემ. მან აღნიშნა ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის სირთულე. ხშირი იყო ისეთი შემთხვევაც, სთქვა მომხსენებელმა, როდესაც გაზეთში მოთავსებული ცნობის გამო ამა თუ იმ უფ-პოლიტ შემადგენლობაზე აურზაური ამტყდარა. ხშირად მოსულან გულნატკენი უფშემადგენლობა და სიბრაზით გაზეთი ჩამოუხევიათ კედლიდან მაგრამ „წითელი მებრძოლი" ასეთებს არ უშინდებოდა და სათანადო საბუთებით არწმუნებდა ამხანაგებს მათ მიერ ჩადენილ ცუდ საქციელში. ასეთი მოქმედებით, არა ერთი და ორი სწორი გზიდან ამცდარი ამხანაგები გამოუსწორებია ჩვენს გაზეთს და თუ წინეთ ისინი შორიდან გვეარშიყებოდენ დღეს, ჩვენი მუდმივი თანამშრომლები არიან ამხ. ეფრემიძის სიტყვა ტაშით იქნა დაჯილდოვებული, შემდეგი სიტყვით გამოვიდა ბიურო კოლექტივის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ამხ. მ. მამარდაშვილი, რომელიც ახასიათებს კედლის გაზეთის მნიშვნელობას და მის როლს ლეგიონის ცხოვრებაში, ეხება მის აღმზრდელობითი მნიშვნელობას ლეგიონის წითელ-არმიელებთა შორის და ბოლოს იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში გაზეთის ხელმძღვანელები უფრო გაბედულ ნაბიჯს გადასდგამენ.

ილაპარაკა აგრეთვე ამხ. ბოკუჩავამ, რომელმაც მოუწოდა, ახალწვეულ წ. არმიელებს რომ უვადო შვებულებაში წასულ ამხანაგების დაწყებული საქმე, პირნათლად შეასრულონ.

„ადევნეთ თვალყური უფ-პოლიტ შემადგენლობას და ყველა ამხანაგების მოქმედებას ასეულებში, მათი უარყოფითი და დადებითი მხარეები აცნობეთ სარედაქციო კოლეგიას, ნურავინ შეგაშინებთო, მოუწოდებს ამხანაგი არმიელებს.

დასასრულ ამხანაგმა უსურვა „წითელ-მებრძოლს" იდეური ფრონტზე გამარჯვება. მისალოცი სიტყვებით გამოდის აგრეთვე კლუბის უფროსი რომელიც შეეხო ლეგიონში ყველა გამოცემებს (ჟურნალი „ფენიქსი", გაზ. „წითელი წკეპელი", „წითელი არწივი", „ჩირაღდანი" და სხვა) და გააცნო დამსწრეებს მათი მოკლე ისტორია, აღნიშნა აგრეთვე უვადო შვებულებაში მყოფ წითელ არმიელების აქტივობა აღნიშნულ საქმეში. საბოლოო სიტყვით გამოდის კოლეგიის წევრი ლ. დგებუაძე მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ გაზეთის შესაფერ სიმაღლეზე დასაყენებლად ყველამ უნდა მიიღოს მის გამოცემაში აქტიური მონაწილეობა და ყოველ წუთს გვერდში უდგეს მასო.

ბოლოს თავმჯდომარემ აღნიშნა სარედაქციო კოლეგიის წევრების ღვაწლი კედლის გაზეთის გამოცემის საქმეში და უსურვა მომავალში იმ უმნიშვნელო ნაკლის გამოსწორებაც, რომელიც ახლავს კედლის გაზეთს.

**სამხკორი: ხ. ყ.**

## ცხენოსან ლეგიონის კლუბი.

ჩვენი კლუბი შედარებით სხვა ნაწილების კლუბებთან ძალიან ღარიბია, თითქმის უღარიბესად უნდა ჩაითვალოს. სხვა ნაწილებში კლუბის დარბაზი მორთული და მოკაზმულია ათას გვარ პლაკატებით, სხვა და სხვა ბელადების სურათებით.

ჩვენთან კი ასეთები არაა, თვით სცენის დეკორაციები, ძველი, დახეული და უვარგისია.

აუცილებელია ახლის შეძენა. მაგრამ მზრუნველს ვერავის ვხედავთ.

რას აკეთებს ნეტავი კლუბის გამგე ამხ. შ. ცაგარელი? მიიღო თუ არა რაიმე ზომები ამის შესახებ? სასურველია გაგება. მასთან ამხ. ცაგარელი როდესაც ფასიან სადამოებს მართავს კლუბის სასარგებლოდ, (თუ არ ვცდები ყველა წარმოდგენები მიდის კლუბის სასარგებლოდ.) აქვს რაიმე თანხა კლუბისთვის დაგროვილი თუ არა (ჯერ ვერაფერს ვატყობ.) სასურველია საქმის ბარაქიანობის დანახვა და არა მარტო ჰრელი სიტყვები.

**ქლდის ნაგლეჯიძე.**

## პოლიტხელების და სამხკომების თათბირი განაკში.

20 ივნისია. დღეს დანიშნულია კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ყველა საკავშირო ნაწილების პოლიტხელებისა და სამხკომების თათბირი. ყველა ნაციონალურ ნაწილებ დან ხალისიანი გამომეტყველებით მოდიან ამხანაგები. ჩვენი ერთად თავის შეყრა უფრო ამჟღავნებს ჩვენს შორის არსებულ კავშირის სიძლიერესა და სიმტკიცეს. გული ამას კარგად გრძნობს და სიამოვნებაც დიდია.

ყველა შეგროვდა. კრებას ხსნის ბანაკის სამხედრო კომისარი ამხ. ვარაზიოვი.

კრებაზე შემდეგი ასეულებია წარმომდგარი: 1) საკავშირო ასეული. 2) ქ. მ. დივიზიის საკავშირო ასეული, ადერბეიჯანის, სომხეთის, პირველი, მეორე, მესამე დივიზიის ასეულები, ცხენოსანი ბრიგადა და რადიო ასეული.

კრებას თავიდანვე საქმიანი შეხედულება აქვს.

ორგანიზაციული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბანაკის სამხკომმა.

ორგანიზაციული მუშაობის მოსაგვარებლად არჩეული იქნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია. კომისიაში შევიდენ ნაწილების სამხკომები.

მეორე მოხსენება სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. ვუნერმა. ამ საქმისთვისაც საჭირო შეიქნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ეხლავე ენერგიული მუშაობის გაჩაღება.

გარდა ამისა გაირჩა მრავალი სხვა წვრილმანი საკითხები. კრება ერთობ ნაყოფიერი შეიქნა. აქვე დასმული იქნა საკითხი ბანაკის ტეხნიკური მოწყობის შესახებ, რის შემდეგ კრება დაიშალა.

**სვირელი.**

## მოკლე ვადიანი კურსები პოლიტხელებისათვის.

რამოდენიმე დღეა, რაც აქ თბილისში, ცენტრალურ კლუბში ადგილობრივ სასკოლო სექციის უფროსის ხელმძღვანელობით გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები ქართულ ნაწილებში მომუშავე პოლიტ-ხელებისათვის. ეს მოვლენა მეტად მიზანშეწონილია და უთუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს წითელ არმიელების აღზრდა განვითარების საქმეს.

ყველასათვის ცნობილია, რომ პოლიტ-ხელი იგივე მასწავლებელია, რომ ის ზრუნავს აღზარდოს წითელ არმიელი პოლიტიკურად და გახადოს შეგნებულ მოქალაქედ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა. აქედან ნათელია თუ, რა დიდი მოვალეობა აწევს პოლიტ-ხელს თავზე, ბევრი რამ მნიშვნელოვანი დამოკიდებულია პოლიტ-ხელიდან და ამიტომ არის რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ცოდნა მეთოდიურ დიდაქტიურ ხერხებისა, რომ მისი მუშაობა ამ მხრივ იყოს ნაყოფიერი. ჩვენ ვიცით რომ ლექციონურ სისტემას სწავლების, არ მიაქვს შესაფერი ნაყოფი, რადგან ფსიხოლოგია ადამიანის ასეთია, თუ ის არის მხოლოდ პასიური მსმენელი და არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას მასალის შემუშავებაში, მისთვის შეძენილი ასეთი გზით ცნობები მერყევი და უშედეგოა, ამიტომ ლექციონური სისტემა დასაგმობია და მისი ადგილი უნდა დაიჭიროს კითხვა პასუხის ფორმამ, რომელიც მსმენელებს აძლევს აქტივობას. გზა უხსნის მოსაზრებებს და დასკვნები გამოყვანას შემდეგ პოლიტ-ხელებმა დიდი ასპარეზი უნდა დაუთმონ თვალსჩინურს, დიაგრამებ ხატვა და სხვა უნდა იყოს ყოველ პოლიტ საათზე, რადგან რაც მეტი ჩვენი გრძნობა ღებულობს მონაწილეობას შთაბეჭდილებათა გადაცემის დროს, მით შთაბეჭდილებანი იქნებიან მკვიდრი და ურყევი. ყველა ამას და ბევრ სხვა ახალს პოლიტ-ხელები გაიგონებენ სემინარიუმზე, ისინი გადახალისებულ ცოდნით, მეტი მომზადებით მივლენ წითელ არმიელებთან და შეუდგებიან თავიანთ მოვალეობის ასრულებას.

მასთან სხვა და სხვა დარგებ მეცნიერებიდან, მათი მეთოდები იქნება წაკითხული აქ, კომპლექტიურ მეთოდის მნიშვნელობა, მისი უპირატესობანი სხვა მეთოდებთან იქნება ნათლად გაშუქებული. როგორც ვხედავთ მიზნები დასახული სემინარიის მიერ სიმპატიურია, პოლიტ-ხელები დიდი ხალისით და ენერგიით ეპყრობიან საქმეს, ვისურვებ რომ ასეთი სემინარიები იყოს შემოღებული არა მარტო თბილისი მასშტაბით, არამედ სხვა ქალაქებში მომუშავე პოლიტ-ხელებისათვის.

**ს. ქუთათელი.**

## ცხენი

(დასასრული)

სასოფლო მეურნეობაში და წითელჯარში.

თუ სოფლის მეურნეობაში ძნელია ცხენის შეცვლა სხვა პირუტყვით, ეს მით უფრო შეუძლებელია ჯარში. ღონე, ამტანობა, მთაში და ბარში ყოველგვარ მუშაობისათვის ვარგისობა და ბრძოლის დროს საჭირო წესების შეთვისება—აი ის ღირსებები, რომლებიც ცხენის პირად კუთვნილებას შეადგენენ და ჯარისათვის არცილებელ საჭირო არსებათ ხდიან მას.

ზედმეტი იქნებოდა იმ მნიშვნელობაზე ლაპარაკი, რომელიც აქვს ცხენს საზოგადოთ კავალერიისათვის და არტილერიისათვის. ეს ყველასათვის იმდენად ცხადზე ცხადია, რომ შესაძლებელია ამ კითხვას გვერდი აუაროთ და აღვნიშნოთ მხოლოდ ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხენს ომის და მშვიდობიანობის დროს ჯარისათვის სურსათ-სანოვაგის და სხვა საჭირო საგნების გადატან-გადმოტანის საქმეში.

ჯარი ვერ მორჩება ტრანსპორტს იმიტომ, რომ მას საშვალება არა აქვს, როდესაც წინ წაიწევს, ან უკან დაიხევს, ყოველთვის წაწევ-დახევასთან ერთად რკინის გზები გაიყვანოს, ხიდები ააგოს და ჰაობები ამოაშროს. ყველა ასეთი შემთხვევებისათვის ცხენის მნიშვნელობა სამხედრო ტრანსპორტისათვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

თუ მივიღებთ მხედველობაში რუსეთის გზებს და საქართველოს მთაგორიან ადგილებს, რომელზედაც ძალიან ძნელი და უმეტეს შემთხვევებში შეუძლებელიცაა მანქანებით სიარული, ცხადად დავინახავთ, რო უცხენოთ ჩვენს ჯარს ერთი ფეხ გადადგმაც კი არ შეუძლია. თუ ა იქნა აღდგენილი და გაუმჯობესებუ ლი ცხენის მოშენება-გამრავლებ საქმე თვით ჩვენში, არ გვეყოლე ცხენების საჭირო რიცხვი არც ს სოფლო მეურნეობაში და არც ჯარ ში. არც ერთი შინაური პირუტყ თავისი სასარგებლო ღირსებებ ისე ძვირად არ ფასდება, როგორ ცხენი და ამიტომაცაა რომ ერთგუ ლი სამსახურისათვის ყველა დრო და ყოველგან უმღერდა მას კაც მადლობისა და სიყვარულის ლე სებს.

ლექსებს უმღერდა და უმღერ გლეხი **„ცხენს—მხვნელს"**, ლე სებს უმღერდა და უმღერის მხედარ **„ცხენს—მხედარს"**! ეხლა-კი დად ჟამი, როდესაც ყველამ ერთად უ და უმღეროთ ლექსები ცხენს: გლე მა და მუშამ, მუშამ და გლეხმა ს საბჭოთა ხელისუფლების დამცველ ჩვენმა წითელ-არმიელმა! ცხენი ყვ ლა მშრომელისათვის ძვირფასი, ს ყვარელი, ნაზი, სასარგებლო, ერთ გული ჭირსა და ლხინში, ყანაში, ომში, უენო, მაგრამ საიმედო მეგო ბარია!

მაშ, გვიყვარდეს ცხენი, ამხანაგ გლეხებო, მუშებო და წითელ-არმი ელებო, მოვაშენოთ იგი და სოფელ ში თუ ჯარში მოუაროთ მას, რო გორც ჩვენს საკუთარს ძმას.

1-ლ ქართულ მსროლელ დივიზი ის ვეტექიმი: **ფარეიშვილი.**

## ᲥᲐᲠ. ᲓᲘᲕ. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲨᲘ.

### ᲓᲔᲖᲔᲠᲢᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ—ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ.

იასონ კიმოთეს-ძე კანკია, მსახურობდა ცხენოსან ლეგიონში. 1924 წლის 27 მარტს იგი გაშვებულ იქნა ათი დღის შვებულებაში. ბრალდებულმა გადააცილა კანონიერ შვებულებას და უკან დაბრუნდა მხოლოთ 20 მაისს. მიზეზათ მან დაასახელა ის გარემოება, რომ ძმა გაექცა და ახლათ ოჯახის მოწყობისას მან დაიგვიანა.

ბრალდებული კანკიას საქმეს სამხ. სასამართლომ, თავმჯდომარის გოგიჩაიშვილის და კოლეგიის წევრების გაბუნიას და ქერქაძის შემადგენლობით გაარჩია 26 ივნისს. თავიდანვე ორგვარი ბრალდება იყო წარდგენილი.

ერთი ის, რომ მან ჩაიდინა დეზერტირობა (211 მუხლი) და მეორე—რომ მან გაფლანგა, დროებით სახმარებლად მიცემული სახაზინო ქონება (213 მუხლი 1 ნაწილი).

მეორე ბრალდება, საკმაო დამამტკიცებულ საბუთების უქონლობის გამო და იმიტომ, რომ ბრალდებულმა უკანვე წარადგინა სამხ. ტანსაცმელი—მოხსნილ იქნა.

1-ლი ბრალდება კი, დეზერტირობის შესახებ ტრიბუნალმა დამტკიცებულათ ჩასთვალა და მიუსაჯა ბრალდებულ კანკიას, კანონიერი შვებულების გადაცილებისათვის—რვა თვით გამსახლში მოთავსება და და სამასი მანეთის ღირებული ქონების ჩამორთმევა.

---

## ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲥᲘᲛᲘᲐ

### „ᲕᲘᲜᲡᲔᲜᲘᲢᲘ".

იმპერიალისტურ ომის დროს მოკავშირენი სცდილობდენ გამოენახათ იმ გვარი აირი, რომელიც ადამიანს სწრაფად გამოასალმებდა სიცოცხლეს, რითაც ნაკლებად დაიტანჯებოდა ყოველი ბრძოლის ველზედ იერიშის დროს ან მოწამვლისაგან ხანგრძლივად საავათმყოფოში წვალებით ამ მიზნით საფრანგეთში მრავალი ცდა იყო ჩატარებული სინილის ანუ ციან-წყალბადის სიმჟავით.

სინილის ანუ ციანის სიმჟავე წარმოადგენს უფერო აქროლ სითხეს, რომელიც სდუღს 25° ტემპერატურით. იგი იწვევს სისხლის წითელ ბუშტებში ქიმიურ ცვლილებას, რასაც შედეგად სასუნთქ ცენტრის სიმდაბლე მოსდევს. სწრაფი სიკვდილის გამოწვევა მის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. საკმარისია ერთ ლიტრა ჰაერში სინილის სიმჟავის ნახევარი მილიგრამი იყოს, რომ ცოცხალ არსებათა სწრაფი სიკვდილი გამოიწვიოს და ამავე დროს, თუ ამაზედ ნაკლები შედის, ეს ნივთიერება ჰაერში სრულიად არავითარ მოვლენას არ იწვევს და უშედეგოა. ვინაიდან ეს აირი ნაკლებად მკვრივი იყო, საჭირო იყო მისი დამამძიმებელ ნივთიერებასთან შერევა, ე. ი. ისეთ ნივთიერებასთან, რომელსაც შეეძლებოდა დედამიწის ზედაპირის ახლოს შეეკავებინა ეს აირი იერიშის დროს, ფრანგებმა მოახერხეს სხვა და სხვა ნივთიერებასთან შერევა და ომის დროს ხმარობდენ მას საერთო „ვინსენიტის" სახელით. რამოდენიმე ხნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ „ვინსენიტის" ყველა ნარევი კარგ შედეგებს არ იძლევა, როგორც სიმკვიდრის, ისე უხამიანობის თვისების მხრივ, მიუხედავათ ამისა, ფრანგები მაინც კარგა ხანს ხმარობდენ თავიანთ ვინსენიტს. შემდეგში კი მისი ხმარება თანდათანობით შესწყვიტეს.

ვინსენიტის საწინააღმდეგოთ განსაკუთრებულად დამზადებული ნახშირი არ ვარგა.

მის გასაბათილებლად იხმარება ტუტეები (პოტაში, ნატრიუმის კირი) და ნიკელის მარილები.

სინილის სიმჟავის მარილებს დიდი გასაქანი აქვთ ტეხნიკაში და საბრძოლო საშუალებათა დასამზადებლად იყენებენ მას.

სინილის სიმჟავე ერთად ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია სასოფლო მეურნეობის მავნებელთა მოსასპობად და დეზინფექციისათვის.

გ. ბ—შვილი.

---

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ.

**26 ივნისს, 8 საათზე, საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ დატუსაღებულია, საზღვარგარეთიდან ჩამოსული, მენშევიკების ცეკას წევრი ბენია ჩხიკვიშვილი.**

**ბენია ჩხიკვიშვილი, მენშევიკების დროის ტფილისის ქალაქის თავია და განსაკუთრებული რწმუნებული ბათომში, უკანასკნელ ხანებში ის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი იყო ნოე ჟორდანიას „მთავრობაში" პარიზში. მენშევიკების საზღვარგარეთელ ბიუროს მიერ ის გამოგზავნილი იყო საქართველოში სპეციალურ დავალებით დაჭერილ ცეკას მაგიერად.**

**გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა შეიარაღებულ აჯანყების მოსაწყობად.**

**ჩხიკვიშვილმა დაჰყო ტფილისში 15 დღე.**

---

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **რევტრიბუნალში.** 30 ივნისს ქართ. დივ. რევტრიბუნალში გაირჩევა კომკავშირის წევრების, წითელი მეთაურის ვიქტ. ყანჩაველის და წით. არმ. შალვა შელიას საქმე. ბრალდებათ, თანახმათ 116,108 და 110 მუხლებისა, სახაზინო ქონების გაფლანგვა.

— **წითელ არმიელების ექსკურსია.** 24 ივნისს, მეხუთე ლეგიონის წითელ არმიელების ექსკურსიამ ინახულა ქუთაისში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, რომლის შესახებაც ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ადგილობრივ. ექსკურსიამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

— **დეზერტირის გასამართლება.** 27 ივნისისათვის ქუთაისში დანიშნული იყო მეხუთე ლეგიონის თეატრში დეზერტირის გასამართლება. გასამართლებაზე მონაწილეობას მიიღებენ ახალწვეულებიც.

— **შირაქის ნავთი.** საქართველოს მთავრობამ დასდო ხელშეკრულება იტალია-ბელგიის სამთომადნო საზოგადოებასთან შირაქის ნავთის ექსპლოატაციის შესახებ.

— **ნიავ-ღვარი ხორაგოულში.** 24 ივნისს ხორაგოულის რაიონში (იმერეთი) მოვიდა დიდი ნიავ-ღვარი. ნიავ-ღვარმა გააფუჭა ნათესები და წაიღო ხიდები.

— **სავაჭრო პალატის დაარსება.** აღმოსავლეთთან ვაჭრობის გაძლიერების მიზნით ა. კ. შინავაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა თფილისში დაარსოს სავაჭრო პალატა.

— **მღვდლების გასამართლება.** 3 ივლისს მე ცხრე რაიონის სახალხო სასამართლოში გაირჩევა მღვდლების ხახუტაშვილის, გეორგაძის, კარბელაშვილის, გამრეკელის და ხუციშვილის საქმე. ბრალდებათ საეკლესიო ნივთების გატაცება.

— **შინა-ვაჭრობის მოწესრიგება.** შინა ვაჭრობის კომისარიატმა გამოიმუშავა ახალი ინსტრუქცია ქალაქებში და სოფლებში შინა ვაჭრობის საბჭოს მოწესრიგების შესახებ.

— **სეტყვა ახალციხის მაზრაში.** ახალციხის მაზრაში აწყურის რაიონში 24 ივნისს მოვიდა დიდი სეტყვა, რამაც სრულიად გაანადგურა ნათესები.

— **ახალი ფ-ტელეგრაფი.** სოფელ მუხიანში (ქუთ. მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის ახალი განყოფილება.

— **მეცადინეობა მძლეოსნობაში.** პირველ ივლისიდან ლენინის სახელობის სასპორტო ბაქანზე ეწყობა უფასოთ მეცადინეობა მძლეოსნობაში. სამხედრო პირებს და წითელ არმიელებს შეუძლიანთ ჩაეწერონ დივიზიის სპორტ-ინსტრუქტორ ამხ. მერკვილაძესთან (პოლიტ-განში) მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ საღ. 5 ს.—8 საათ.

— **თბილისის ლომბარდის მუშაობა.** ერთი თვის მუშაობის შედეგათ თფილ. ქალაქის ლომბარდს გაუცია სესხი 2,139—5,243 მანეთის ვალი დაუფარავთ მოვალეებს 1,405 მანეთის.

— **ახალი წყალსადენის გასაყვანათ.** ქალ. აღმასკომის საგანგებო კომისიამ დაათვალიერა 26 ივნისს ნაქათარელის და ბულაჩაურის წყაროები. პროექტი ამ წყაროების თბილისში გამოყვანის შესახებ შედგენილია 1919 წელს. ნაქათარელის წყაროს გამოსაყვანათ საჭიროა 2.500.000 მან. ხოლო ბულაჩაურისათვის კი 4.500.000 მან.

### ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

— **წითელი დროშა საჩუქრად.** დღეს 28 ივნისს სახ. ოპერის თეატრის წინ მოხდება საქართ. კინო მრეწველობისათვის წითელი დროშის საზეიმო გადაცემა კინო სურათის „წითელი ეშმაკუნების" გამოშვებისათვის—ზეიმს დაესწრება ამხ. ლუნაჩარსკი.

— **დიდი საღამო სამხედრო პირთათვის.** დღეს 27 ივნისისათვის წით. არმ. ცენტ. კლუბში გაიმართება დიდი საღამო. წითელ-არმიელებს და უფშემადგენლობას შეუძლიანთ უფასოთ დასწრება.

---

## ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

### ᲮᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲓᲐᲛᲞᲚᲔ.

სიდამპლე აზიანებს ვაშლს, მსხალს, კომშს (ბიას) და ქლიავს. მას იწვევს ძლიერ პატარა თვალთ-უხილავი სოკო. სიდამპლე ნაყოფზე ჩნდება შუა ზაფხულში, დაახლოებით ივლისის განმავლობაში. ზოგ წლებში თუ ამინდებმა ხელი შეუწყო, ავადმყოფობა უფრო ადრეც იჩენს თავს. ჯერ კიდევ დაუმწიფებელ მწვანე ნაყოფზე ჩნდება პატარა მიხაკის ფერი წერტილი, რომელიც თანდათანობით იზრდება, ფართოვდება და რამოდენიმე დღის განმავლობაში დაჰფარავს მთელ ნაყოფს. ნაყოფის ხორცი რბილდება და მის ზედა პირზე ჩნდებიან რგოლისებურათ შემომწკრივებული თეთრი-მოყვითლო წინწკლები (იხ. სურ.) დაზიანებული ნაყოფი თანდათანობით მუქდება, გამოშრება და გამოხმება. ამის შემდეგ ნაწილი დაზიანებული ნაყოფებისა ძირ ჩამოცვივდება; ნაწილი კი ჰკიდია ტოტზე დიდ ხანს ზოგჯერ მთელი ზამთრის განმავლობაში. სიდამპლე ასე ვრცელდება: სიდამპლის თესლი, რომელსაც სპორა ეწოდება ქარის, მწერების ან ფრინველების შემწეობით დაეცემა ნაყოფს, თუ ნაყოფს ჯანი მთელი და დაუზიანებელი აქვს სპორა მას ვერას ავნებს. ნაყოფის სიდამპლე ემართება მხოლოთ კან დამსკდარ ან დაზიანებულ ნაყოფს. მაგ. მავნებლებისგან კან-დაზიანებულ, კოხისგან ან სხვა, რაიმესგან დაზიანებულ და კანდამსკდარ ნაყოფზე ხშირად შეხვდებით სიდამპლეს. როცა სიდამპლის სპორა მოხვდება დაზიანებულს ის უშვებს ნაყოფის სირბილეში თავის საწოვრეჩს და იქიდან სწუწნის წვენს. ამ რიგათ სოკო თანდათან ვითარდება და იკეთებს სანაყოფეებს, რომლებშიაც მოთავსებულია სპორები. დამწიფებული სანაყოფე სკდება და იქიდან სცვივა სპორები. სპორები ქარის, მწერის ან ფრინველების საშუალებით გადადიან საღ ნაყოფებზე და მათაც აზიანებენ. ამ რიგათ თუ ამ ავათმყოფობის წინააღმდეგ ზომები არ მიიღეს ის ძლიერ მალე ვრცელდება. ამაზე შემდეგში.



მეურნე.

---

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. ჩხიკვიშვილს.** თქვენი წერილი „დიდებული აღმზრდელი წითელ არმიელისა" არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. მზვერავს.** თქვენი წერილი „საყურადღებოდ ვისაც ჯერ არს" არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ სხვა ხასიათის კორესპონდენციები.

---


ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲙᲠᲐᲡᲜᲐᲘᲐ ᲖᲕᲔᲖᲓᲐ"-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლეზიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 3 თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „ᲓᲘᲐᲓᲘ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲗᲐᲜ"** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ.**

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


---


ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ-ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

№ 1.

„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲨᲐᲒᲘ"

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ყიდვა და გამოწერა კრებულისა შეიძლება შემდეგი მისამართით: **კეცხოველის ქუჩა** (ყოფ. ლორის-მელიქოვისა), **სამხედრო კომისარიატის სტამბის შენობა, სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის ბინაზედ.**


---

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ** საკანდიდატო ბარათი ქ. დივ. პოლიტ-განყოფილების პარტ-კომისიის მიერ გაცემული № 2181. პირადობის მოწმობა № 1704 ა. წ. 24 მარტიდან და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საწევრო წიგნაკი მიხეილ მესხის სახელზედ გაცემული, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ნ. დ. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.